რისკების შესახებ გაფრთხილება

ეს მოკლე განცხადება წარმოადგენს G&T Trader-ისა და G&T Brokerage-ის ზოგადი პირობების (შემდგომში - „**პირობები**“) დამატებას. G&T Trader-ისა და G&T Brokerage-ის პროდუქტებითა და სერვისებით ვაჭრობამ, თუნდაც „რეკომენდაციის“ საფუძველზე, შეიძლება გამოიწვიოს როგორც მოგება, ისე ზარალი.

ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკები იზრდება ლევერიჯით – ზარალმა შეიძლება გადააჭარბოს თქვენს დეპოზიტს. მარჯინ მოთხოვნები შეიძლება სწრაფად ან ხშირად გაჩნდეს, განსაკუთრებით მაღალი ვოლატილობის დროს, და თუ მათ ვერ შეასრულებთ, თქვენი პოზიციები შეიძლება დაიხუროს და წარმოქმნილი დეფიციტის ანაზღაურების ტვირთი თქვენ დაგეკისროთ. მაღალი ცვალებადობის ან საბაზრო/ეკონომიკური გაურკვევლობის პერიოდში ფასები შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს; ეს რყევები კიდევ უფრო ძლიერდება, თუ თქვენი პოზიციები ლევერიჯირებულია და შესაძლოა, თქვენს პოზიციაზე უარყოფითადაც აისახოს. ვაჭრობა დაიწყეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად გააცნობიერებთ და მიიღებთ რისკებს. თქვენ ყურადღებით უნდა განიხილოთ, რამდენად შესაფერისია თქვენთვის მოზიდული სახსრებით დაფინანსებული პროდუქტებით ვაჭრობა თქვენი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით და მიიღოთ დამოუკიდებელი ფინანსური კონსულტაცია.

პუბლიკაციები

ნებისმიერი ფაქტი, შეფასება, ანალიზი, პროგნოზი, დასკვნა და სხვა ინფორმაცია (ერთობლივად - „**ინფორმაცია**“), რომელიც გამოცემულია „გალტ ენდ თაგარტის“, „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი მფლობელის, შვილობილი კომპანიის, აფილირებული კომპანიის ან ფილიალის მიერ ან/და „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი დირექტორის, თანამდებობის პირის, თანამშრომლის ან წარმომადგენლის მიერ, მიუხედევად იმისა, სად არის ის განთავსებული - „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდზე, მესამე მხარის ვებ-გვერდზე, მარკეტინგულ მასალებში, საინფორმაციო ბიულეტენებში, ინდივიდუალურ ელექტრონულ მეილებსა და წერილებში, ლექციებში, პირად საუბრებში თუ სხვა წერილობით ან ზეპირი კომუნიკაციის ფორმებში (ერთობლივად - „**პუბლიკაციები**“), გაცემულია მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგის მიზნებისათვის.

სპეკულაციური ვაჭრობა არ არის შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის

კონკრეტულ პროდუქტსა თუ სერვისთან დაკავშირებით „პუბლიკაციაში“ ნახსენები რისკები, არსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ასეთ პროდუქტსა თუ სერვისთან დაკავშირებული ყველა რისკის სრული გამჟღავნება ან სრული აღწერა და „გალტ ენდ თაგარტი“ დაჟინებით ურჩევს ნებისმიერ მიმღებს, რომელიც აპირებს მისი პროდუქტებითა და სერვისებით ვაჭრობას, დაიქირავოს შესაფერისი ფინანსური მრჩევლები და ყოველთვის გაიაროს მათთან კონსულტაცია ნებისმიერი ინვესტიციის ან ტრანზაქციის განხორციელებამდე.

რეკომენდაციების უარყოფა

„გალტ ენდ თაგარტი“ არც ერთ თავის „პუბლიკაციაში“ არ ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული მიმღების საინვესტიციო ამოცანებს, განსაკუთრებულ საინვესტიციო მიზნებს, ფინანსურ მდგომარეობას, ან/და სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის აღნიშნული, „გალტ ენდ თაგარტის“ ყველა „პუბლიკაცია“ განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგის მიზნებისთვის და არ უნდა იქნას გაგებული როგორც:

- ბიზნეს, ფინანსური, საინვესტიციო, ჰეჯირების, სამართლებრივი, რეგულატორული, საგადასახადო ან საბუღალტრო კონსულტაცია;
- რეკომენდაცია ან სავაჭრო იდეა; ან
- კონკრეტული ფორმით ქმედების, ინვესტიციის ან დეინვესტიციის განსახორციელების ნებისმიერი სხვა სახის წახალისება (ერთობლივად - „**რეკომენდაციები**“).

„გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი აღქმული „რეკომენდაციის“ საფუძველზე განხორციელებული ინვესტიციის შედეგად დამდგარ ნებისმიერ ზარალზე.

განცხადებებისა და გარანტიების უარყოფა

„გალტ ენდ თაგარტი“ იღებს სათანადო ზომებს, რათა ინფორმაცია სანდო წყაროებიდან მოიპოვოს, თუმცა ყველა „პუბლიკაცია“ მოცემულია „არსებული სახით“ (“as is” პრინციპით), ყოველგვარი (გამოხატული ან ნაგულისხმევი) განცხადების ან/და გარანტიის გარეშე, და „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერი „პუბლიკაციის“ სრულყოფილებაზე, სიზუსტეზე, მიმღები პირისთვის შესაბამისობასა და ადეკვატურობაზე. კერძოდ, „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერი გამომწერის, კლიენტის, პარტნიორის, მომწოდებლის, კონტრაჰენტის ან/და სხვა მიმღები პირის წინაშე შემდეგზე:

- ნებისმიერი ბაზრის კოტირების სიზუსტე;
- ბაზრის კოტირების ნებისმიერი დაყოვნება, უზუსტობა, შეცდომა, შეფერხება ან გამოტოვება; და
- ნებისმიერი ბაზრის კოტირების შეწყვეტა.

„გალტ ენდ თაგარტის“ „პუბლიკაციების“ განახლება მათი გამოქვეყნების შემდეგ არ ხდება და ისინი, ცვალებადი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა არაზუსტი ან/და, სავარაუდოდ, შეცდომაში შემყვანი გახდეს დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, რაც, ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მერყეობდეს წამებიდან და წუთებიდან დღეებამდე, კვირებამდე ან/და თვეებამდე. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა გარანტიას და არ იღებს პასუხისმგებლობას მიმღები პირის წინაშე განუახლებელ „პუბლიკაციაზე“.

თუ „პუბლიკაცია“ განუახლებელია, „გალტ ენდ თაგარტს“ არ ექნება ვალდებულება:

- განაახლოს „პუბლიკაცია“;
- აცნობოს „პუბლიკაციის“ მიმღებ პირებს აღნიშნულის თაობაზე; ან
- განახორციელოს რაიმე სხვა ქმედება.

ნებისმიერი „პუბლიკაცია“ შეიძლება გამოხატავდეს ავტორის პირადი შეხედულებას და არ ასახავდეს „გალტ ენდ თაგარტის“ მოსაზრებას. „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, (წინასწარი ან შემდგომი) გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს გააუქმოს ან შეცვალოს ნებისმიერი „პუბლიკაცია“ ან „ინფორმაცია“.

ინტერნეტით ვაჭრობის რისკები

ინტერნეტზე დამოკიდებული სავაჭრო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებულია გარკვეული რისკები, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის ან ინტერნეტკავშირის გაუმართაობა. ვინაიდან „გალტ ენდ თაგარტი“ არ აკონტროლებს სიგნალის სიმძლავრეს, მის მიღებას ან ინტერნეტით გადამისამართებას, თქვენი მოწყობილობის კონფიგურაციას ან კავშირის საიმედოობას, ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი კომუნიკაციის ხარვეზებზე, შეცდომებზე ან დაყოვნებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინტერნეტით ვაჭრობისას. „გალტ ენდ თაგარტი“ იყენებს სარეზერვო სისტემებს და საგანგებო ვითარების გეგმებს სისტემის შესაძლო გაუმართაობის მინიმუმამდე შესამცირებლად. აგრეთვეხელმისაწვდომია ტელეფონით ვაჭრობა.

რისკების გამჟღავნების განცხადება უცხოური ვალუტისა და დერივატივებით (მათ შორის, კონტრაქტები ფასთა სხვაობაზე (CFD), ფიუჩერსები და ოფციონები) ვაჭრობისთვის

წინამდებარე მოკლე განცხადება არ ასახავს ყველა შესაძლო რისკსა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტს, რაც უკავშირდება უცხოური ვალუტითა და დერივატივებით ვაჭრობას. რისკების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროდუქტებში ტრანზაქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განხორციელოთ, თუ გესმით ხელშეკრულებების ბუნება და სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთერთობა, რომელშიც შედიხართ, და თქვენი რისკის ზღვარი. ტრანზაქციები უცხოური ვალუტასა და დერივატივებში არ არის შესაფერისი

საზოგადოების ბევრი წევრისთვის. თქვენ ყურადღებით უნდა შეაფასოთ, არის თუ არა ტრანზაქცია თქვენთვის შესაფერისი თქვენი გამოცდილების, მიზნების, ფინანსურ რესურსებისა და სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონტრაქტები ფასთა სხვაობაზე (CFD) და ბინარული ოფციონები რთული ფინანსური ინსტრუმენტებია და ლევერიჯის გამო დაკავშირებულია თანხის დაკარგვის მაღალ რისკთან. ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების კომისიის (ESMA) მიერ გამოქვეყნებული საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, საცალო კლიენტების ანგარიშების 74-89%-ს სრულად ეკარგება თანხა კონტრაქტებით ფასთა სხვაობაზე (CFD) და ბინარული ოფციონებით ვაჭრობის შედეგად. თქვენ უნდა შეაფასოთ, რამდენად გესმით, თუ როგორ ფუნქციონირებს კონტრაქტები ფასთა სხვაობაზე (CFD) და ბინარული ოფციონები, და შეგიძლიათ თუ არა გაწვდეთ თანხის სწრაფი დაკარგვის მაღალ რისკს.

უცხოური ვალუტა და დერივატივები

1. „ლევერიჯის“ ან „გეარინგის“ ეფექტი

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში და დერივატივებში მაღალი რისკის შემცველია. საწყისი მარჯინის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე უცხოური ვალუტის ან დერივატივის კონტრაქტის ღირებულებასთან მიმართებით, შესაბამისად, ტრანზაქციები იქნება „ლევერიჯებული“ ან „გეარებული“. ბაზრის შედარებით მცირე მოძრაობა პროპორციულად უფრო დიდ გავლენას მოახდენს თქვენ მიერ შეტანილ ან შესატან თანხებზე; ამან შეიძლება იმუშაოს როგორც თქვენ წინააღმდეგ, ასევე თქვენ სასარგებლოდ. თქვენ შეიძლება მთლიანად დაკარგოთ საწყისი მარჯინ სახსრები და „გალტ ენდ თაგარტთან“ დეპონირებული ნებისმიერი დამატებითი სახსრები თქვენი პოზიციის შესანარჩუნებლად. თუ ბაზარი მოძრაობს თქვენი პოზიციის საწინააღმდეგოდ ან/და იზრდება მარჯინ მოთხოვნები, თქვენ შესაძლოა მოგეთხოვოთ დამატებითი სახსრების შეტანა მოკლე დროში თქვენი პოზიციის შესანარჩუნებლად. დამატებითი თანხების შეტანის მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენი პოზიცი(ებ)ის დახურვა „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ თქვენი სახელით და ნებისმიერ დანაკარგზე ან დეფიციტზე პასუხისმგებელი თქვენ იქნებით.

2. რისკის შესამცირებელი დავალებები ან სტრატეგიები

გარკვეული დავალებების განთავსება (მაგ. „სტოპ დანაკარგის“ დავალებები, როდესაც ეს ნებადართულია ადგილობრივი კანონმდებლობით, ან „სტოპ ლიმიტ“ დავალებები), რომლებიც მიზნად ისახავს ზარალის გარკვეულ ოდენობამდე შეზღუდვას, შეიძლება არ იყოს საკმარისი, თუ ბაზრის პირობები შეუძლებელს ხდის ასეთი დავალებების შესრულებას, მაგალითად, ბაზარზე არსებული არალიკვიდურობის გამო. სტრატეგიები, რომლებიც იყენებენ პოზიციების კომბინაციებს, როგორიცაა „სპრედ“ და „სტრედლ“ პოზიციები, შეიძლება ისეთივე სარისკო იყოს, როგორც მარტივი „გრძელი“ ან „მოკლე“ პოზიციები.

ოფციონები

3. რისკის ცვლადი ხარისხი

ტრანზაქციები ოფციონებში მაღალი რისკის შემცველია. ოფციონის მყიდველები და გამყიდველები უნდა გაეცნონ ოფციონის ტიპს (მაგალითად, „ფუთ“ ან „ქოლ“ ოფციონები), რომლითაც ისინი აპირებენ ვაჭრობას, და მათთან დაკავშირებულ რისკებს. თქვენ უნდა დაიანგარიშოთ, რამდენად უნდა გაიზარდოს ოფციონების ღირებულება, იმისათვის რომ თქვენი პოზიცია გახდეს მომგებიანი, პრემიისა და ტრანზაქციის ყველა ხარჯის გათვალისწინებით. ოფციონების მყიდველს შეუძლია ოფციონების ჩათვლა, შესრულება ან ოფციონის ვადის ამოწურვის დაშვება. ოფციონის შესრულება იწვევს ან ფულად ანგარიშსწორებას, ან მყიდველის მიერ საბაზო პროცენტის შეძენას ან მიწოდებას. თუ ოფციონი ფიუჩერსულია, მყიდველი შეიძენს ფიუჩერსულ პოზიციას დაკავშირებული ვალდებულებებით მარჯინზე (იხილეთ ზემოთ, ფიუჩერსების შესახებ სექცია). თუ ვადის ამოწურვისას შეძენილი ოფციონი ფულის გარეშე რჩება, თქვენ დაკარგავთ მთელ თქვენს ინვესტიციას, რომელიც შედგება ოფციონის პრემიისა და ტრანზაქციის ხარჯებისგან. თუ თქვენ განიხილავთ ფულის

გარეშე ოფციონის შეძენის შესაძლებლობას, უნდა იცოდეთ, რომ ასეთი ოფციონების მიერ მოგების მოტანის შანსი, ჩვეულებრივ, დაბალია.

ოფციონის გაყიდვა ("writing" ან "granting") ზოგადად გაცილებით დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ვიდრე ოფციონების შეძენა. მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველის მიერ მიღებული პრემია ფიქსირებულია, გამყიდველმა შეიძლება განიცადოს ზარალი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ამ თანხას. ბაზრის არახელსაყრელი მოძრაობის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებული იქნება შეიტანოს დამატებითი მარჯინი პოზიციის შესანარჩუნებლად. გამყიდველი ასევე ექვემდებარება მყიდველის მიერ ოფციონის შესრულების რისკს და გამყიდველი ვალდებული იქნება ან შეასრულოს ოფციონი ნაღდი ფულით, ან შეიძინოს ან მიაწოდოს საბაზო ინსტრუმენტი. თუ ოფციონი ფიუჩერსულია, გამყიდველი შეიძენს ფიუჩერსულ პოზიციას დაკავშირებული ვალდებულებებით მარჯინზე (იხილეთ ზემოთ, ფიუჩერსების შესახებ სექცია). თუ ოფციონს „დაფარავს" გამყიდველი, რომელსაც აქვს შესაბამისი პოზიცია საბაზო აქტივზე, ფიუჩერსზე ან სხვა ოფციონზე, რისკი შეიძლება შემცირდეს. იმ შემთხვევაში, თუ ოფციონი არ არის დაფარული, ზარალის რისკი შეუზღუდავი შეიძლება იყოს.

ზოგიერთ ბირჟაზე ზოგ იურისდიქციაში დაშვებულია ოფციონის პრემიის გადახდის გადავადება, რის შედეგადაც მყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა მარჯინ გადასახადებზე, რომლებიც არ აღემატება პრემიის ოდენობას. მყიდველი კვლავ ექვემდებარება პრემიისა და ტრანზაქციის ხარჯების დაკარგვის რისკს. როდესაც ოფციონი სრულდება ან იწურება, მყიდველი პასუხისმგებელია იმ დროისათვის გადაუხდელ ნებისმიერ პრემიაზე.

უცხოურ ვალუტასთან და დერივატივებთან დაკავშირებული ტრანზაქციებისთვის დამახასიათებელი დამატებითი რისკები

4. კონტრაქტების პირობები

თქვენ უნდა გაიგოთ „გალტ ენდ თაგარტისაგან", გაფორმებული კონტრაქტების პირობები და ინფორმაცია მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ (მაგალითად, ის გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება ვალდებული იყოთ განახორციელოთ ან მიიღოთ ფიუჩერსული კონტრაქტის საბაზო პროცენტის მოწოდება, ხოლო ოფციონების შემთხვევაში - ვადის ამოწურვის თარიღები და შესრულების დროის შეზღუდვები). გარკვეულ გარემოებებში შეუსრულებელი კონტრაქტების მახასიათებლები (მათ შორის, ოფციონის შესრულების ფასი) შეიძლება შეიცვალოს ბირჟის ან საკლირინგო სახლის მიერ, რათა აისახოს ცვლილებები საბაზო პროცენტში.

5. სავაჭრო და საფასო ურთიერთობების შეჩერება ან შეზღუდვა

ბაზრის მდგომარეობამ (მაგალითად, არალიკვიდურობამ) ან/და ზოგიერთი ბაზრის წესების მოქმედებამ (მაგალითად, ვაჭრობის შეჩერებამ ნებისმიერ კონტრაქტზე ან საკონტრაქტო თვეში ფასების შეზღუდვების ან ე.წ. "circuit breaker"-ის (ვაჭრობის შეჩერების პროცედურა ფასების მკვეთრი ცვლილებისას) გამო) შეიძლება გაზარდოს ზარალის რისკი, რაც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის ტრანზაქციების განხორციელებას ან პოზიციების დახურვას/ჩათვლას. თუ თქვენ გაყიდეთ ოფიციონები, ამან შეიძლება გაზარდოს ზარალის რისკი.

ნორმალური საფასო ურთიერთობები საბაზო აქტივსა და დერივატივს შორის ყოველთვის არ არსებობს. საბაზისო საორიენტაციო ფასის არარსებობამ შესაძლოა გაართულოს „სამართლიანი" ღირებულების განსაზღვრა.

6. დეპონირებული ფულადი სახსრები და ქონება

თქვენ უნდა გაეცნოთ დაცვის მექანიზმებს, რომლებიც ვრცელდება იმ ფასიან ქაღალდს, რომლის დეპონირებასაც ახდენთ, ფულის ან სხვა აქტივების სახით შიდა და უცხოეთის ტრანზაქციებში, განსაკუთრებით ფირმის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში. ის, თუ რამდენად შეგიძლიათ

დაიბრუნოთ თქვენი ფული ან სხვა აქტივები, რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით და ადგილობრივი წესებით, სადაც კონტრაჰენტი მოქმედებს.

7. საკომისიო და სხვა გადასახდელები

სანამ ვაჭრობას დაიწყებთ, უნდა მიიღოთ მკაფიო განმარტება ყველა საკომისიოს, მოსაკრებლისა და სხვა გადასახდელის შესახებ, რომლებზეც პასუხისმგებელი იქნებით. ეს გადასახდელები გავლენას მოახდენს თქვენს წმინდა მოგებაზე ან ზარალზე.

8. ტრანზაქციები სხვა იურისდიქციებში

ტრანზაქციებმა სხვა იურისდიქციების ბაზრებზე, მათ შორის ბაზრებზე, რომლებიც ფორმალურად არის დაკავშირებული შიდა ბაზართან, შეიძლება დაგაყენოთ დამატებითი რისკის წინაშე. ასეთი ბაზრები შეიძლება ექვემდებარებოდეს რეგულირებას, რომელიც შესაძლოა ინვესტორებისთვის განსხვავებულ ან ნაკლებ დაცვას უზრუნველყოფდეს. თქვენი ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანო ვერ შეძლებს აიძულოს მარეგულირებელი ორგანოების ან ბაზრების წესების აღსრულება სხვა იურისდიქციებში, სადაც თქვენი ტრანზაქციები განხორციელდა.

9. უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკები

უცხოურ, თქვენი ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებულ კონტრაქტებში განხორციელებული ტრანზაქციებიდან მოგება ან ზარალი დამოკიდებული იქნება ვალუტის კურსის რყევებზე, როდესაც საჭირო ხდება კონტრაქტის ვალუტის კონვერტაცია ანგარიშის ვალუტაში.

10. სავაჭრო საშუალებები

ღია (open-outcry) და ელექტრონული სავაჭრო საშუალებების უმეტესობა მხარდაჭერილია კომპიუტერული კომპონენტების მქონე სისტემებით შეკვეთების მარშრუტიზაციისთვის, შესრულებისთვის, შეთანხმებისთვის, რეგისტრაციისთვის ან სავაჭრო გარიგებების კლირინგისთვის. როგორც ყველა საშუალება და სისტემა, ეს სისტემები მოწყვლადია დროებითი შეფერხებებისა თუ მწყობრიდან გამოსვლის მიმართ. თქვენი შესაძლებლობა, აინაზღაუროთ გარკვეული ზარალი შესაძლოა დამოკიდებული იყოს პასუხისმგებლობის შეზღუდვებზე, რომლებიც დაწესებულია სისტემის პროვაიდერის, ბაზრის, საკლირინგო სახლის ან/და წევრი ფირმების მიერ. ასეთი შეზღუდვები შეიძლება განსხვავდებოდეს: ამ თვალსაზრისით დეტალებთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ „გალტ ენდ თაგარტს“.

11. ელექტრონული ვაჭრობა

ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში ვაჭრობა შეიძლება განსხვავდებოდეს არა მხოლოდ ღია (open-outcry) ბაზარზე ვაჭრობისგან, არამედ სხვა ელექტრონულ სავაჭრო სისტემებში ვაჭრობისგანაც. თუ თქვენ ასრულებთ ტრანზაქციებს ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, თქვენ დაექვემდებარებით სისტემასთან დაკავშირებულ რისკებს, მათ შორის გაუმართაობას აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობაში. სისტემის ნებისმიერი გაუმართაობის შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ თქვენი დავალება ან არ შესრულდეს თქვენი ინსტრუქციების შესაბამისად, ან საერთოდ არ შესრულდეს, და თქვენ არ გქონდეთ შესაძლებლობა, მუდმივად იყოთ ინფორმირებული თქვენი პოზიციებისა და მარჯინ მოთხოვნების შესრულების შესახებ.

12. ბირჟისგარე ტრანზაქციები

ზოგიერთ იურისდიქციაში ფირმებს უფლება აქვთ, განახორციელონ ბირჟისგარე ტრანზაქციები. ფირმამ, რომელთანაც თქვენ მუშაობთ, შეიძლება შეასრულოს თქვენი კონტრაჰენტის ფუნქცია ამ ტრანზაქციასთან დაკავშირებით. შეიძლება რთული ან შეუძლებელი იყოს არსებული პოზიციის ლიკვიდაცია, ღირებულების შეფასება, სამართლიანი ფასის დადგენა ან რისკის ზემოქმედების შეფასება. ამ მიზეზების გამო ეს

ტრანზაქციები შესაძლოა გაზრდილ რისკებთან იყოს დაკავშირებული. ბირჟისგარე ტრანზაქციები შეიძლება იყოს ნაკლებად რეგულირებული ან ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ მარეგულირებელ რეჟიმს. სანამ ასეთ ტრანზაქციას განახორციელებთ, უნდა გაეცნოთ მოქმედ წესებს და თანმდევ რისკებს.

გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობა

თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები, სანამ ჩაერთვებით გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობაში, აშშ-ს (ამერიკის შეერთებული შტატების) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობა“ ნიშნავს ვაჭრობას (ა) „ბაზრის წინასწარ სავაჭრო საათებში“ – დილის 7:00 საათიდან 9:30 საათამდე (ET); და (ბ) „სავაჭრო საათების შემდგომ სავაჭრო საათებში“ – საღამოს 4:00 საათიდან 5:00 საათამდე (ET). „სტანდარტულ საათებში ვაჭრობა“ ნიშნავს ვაჭრობას დილის 9:30 საათიდან საღამოს 4:00 საათამდე (ET).

ზოგადი რისკები

1. *დაბალი ლიკვიდურობის რისკი.* ლიკვიდურობა გულისხმობს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობას ბაზრის მონაწილეების მიერ. ზოგადად, რაც უფრო მეტი დავალებაა ბაზარზე, მით უფრო მაღალია ლიკვიდურობა. ლიკვიდურობა მნიშვნელოვანია, რადგან უფრო მაღალი ლიკვიდურობის პირობებში ინვესტორებისთვის უფრო მარტივია ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა, და შედეგად, უფრო სავარაუდოა, რომ ინვესტორებმა გადაიხადონ ან მიიღონ კონკურენტული ფასი შეძენილი ან გაყიდული ფასიანი ქაღალდებისთვის. „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შესაძლოა უფრო დაბალი ლიკვიდურობა იყოს „სტანდარტულ საათებში ვაჭრობასთან“ შედარებით. შედეგად, „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შესაძლოა, თქვენი დავალება ნაწილობრივ შესრულდეს, საერთოდ არ შესრულდეს, ან მიიღოთ არახელსაყრელი ფასი.

2. *მაღალი ცვალებადობის რისკი.* ცვალებადობა მიესადაგება ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებებს ვაჭრობის პროცესში. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ფასიანი ქაღალდის ცვალებადობა, მით უფრო დიდია ფასის მერყეობა. „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შესაძლოა ცვალებადობა უფრო მაღალი იყოს. შედეგად, „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შესაძლოა, თქვენი დავალება ნაწილობრივ შესრულდეს, საერთოდ არ შესრულდეს, ან მიიღოთ უფრო არახელსაყრელი ფასი, ვიდრე „სტანდარტულ საათებში ვაჭრობის“ დროს.

3. *ფასების ცვლილების რისკი.* ფასიანი ქაღალდების ღირებულება, რომლებიც „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ ივაჭრება, შესაძლოა არ ასახავდეს „სტანდარტულ საათებში ვაჭრობის“ ფასებს. ამის შედეგად, „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შესაძლოა, თქვენ მიიღოთ უფრო არახელსაყრელი ფასი, ვიდრე „სტანდარტულ საათებში ვაჭრობისას“. დამატებით, ინდექსების ან პორტფელების საბაზო ფასიანი ქაღალდები არ ივაჭრება რეგულარულად, ისე როგორც „სტანდარტულ საათებში ვაჭრობისას“, ან საერთოდ არ ივაჭრება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ ფასები არ ასახავდეს ამ ფასიანი ქაღალდების ფასებს, როდესაც ისინი ღიაა ვაჭრობისთვის.

4. *დაუკავშირებელი ბაზრების რისკი.* იმის მიხედვით, თუ რომელი „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სისტემა გამოიყენება ან დღის რომელ მონაკვეთში მიმდინარეობს ვაჭრობა, კონკრეტული „განხანგრძლივებული საათების ვაჭრობის“ სისტემის მიერ ნაჩვენები ფასები შეიძლება არ ასახავდეს სხვა პარალელურად მოქმედი „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სისტემების ფასებს იმავე ფასიან ქაღალდებზე. შესაბამისად, ერთ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სისტემაში შესაძლოა მიიღოთ უფრო არახელსაყრელი ფასი ვიდრე მეორე „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სისტემაში.

5. *სიახლეების გამოცხადების რისკი.* როგორც წესი, ემიტენტები მნიშვნელოვან განცხადებებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათი ფასიანი ქაღალდების ფასზე, აკეთებენ „სტანდარტულ საათებში ვაჭრობის“ შემდეგ. ანალოგიურად, მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია ხშირად ქვეყნდება „სტანდარტულ საათებში ვაჭრობის“ მიღმა. „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ ასეთ განცხადებებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ვაჭრობის პროცესში, და თუ ამას თან ახლავს დაბალი

ლიკვიდურობა და მაღალი ცვალებადობა, შესაძლოა, ფასზე გაზვიადებული და არამდგრადი გავლენა იქონიოს.

6. *ფასთაშორის სხვაობის (სპრედის) გაფართოების რისკი.* სპრედი არის იმ ფასებს შორის სხვაობა, რა ფასშიც ფასიანი ქაღალდი შეიძლება იქნეს შეძენილი და რა ფასშიც ის შეიძლება გაიყიდოს. დაბალმა ლიკვიდურობამ და მაღალმა ცვალებადობამ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ შეიძლება გამოიწვიოს ნორმალურზე უფრო ფართო სპრედები კონკრეტული ფასიანი ქაღალდებისთვის.

<u>შეკვეთების მართვა</u>

1. *ლიმიტ დავალებები.* ყველა არსებული ლიმიტ დავალება, რომელიც განთავსებულია სათანადო ინსტრუმენტების მიმართ, რომელთაც გააქტიურებული აქვთ „გახანგრძლივებული საათების“ ფუნქცია შესაბამის სავაჭრო ბილეთებზე, გააგრძელებს შესრულებას „ბაზრის წინასწარ სავაჭრო საათების“ ან „სავაჭრო საათების შემდგომ სავაჭრო საათების“ სესიებში. ნებისმიერი დარჩენილი შეუსრულებელი ლიმიტ დავალება: (1) „ბაზრის წინასწარ სავაჭრო საათების“ სესიის დასრულების შემდეგ გადატანილი იქნება „სტანდარტული სავაჭრო საათების“ განგრძობით სესიაში; (2) „სტანდარტულ საათებში ვაჭრობის“ დასრულების შემდეგ გადატანილი იქნება „სავაჭრო საათების შემდგომი სავაჭრო საათების“ განგრძობით სესიაში; და (3) „სავაჭრო საათების შემდგომი სავაჭრო საათების“ სესიის დასრულების შემდეგ გადატანილი იქნება „ბაზრის წინასწარ სავაჭრო საათების“ განგრძობით სესიაში, იმ პირობით, რომ ეს ლიმიტ დავალება არ გაუქმებულა, არ ამოიწურა, ან თქვენ მიერ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2. *სტოპ დავალებები და პირობითი დავალებები.* სტოპ დავალებები და პირობითი დავალებები არ გააქტიურდება იმ ინსტრუმენტების ფასის განახლებით, რომლებიც ხელმისაწვდომია „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისთვის“, და გააქტიურდება მხოლოდ „სტანდარტულ საათებში ვაჭრობისას“ ამგვარი ინსტრუმენტების ფასის განახლებით.

3. *კორპორატიული ქმედებები.* გარკვეული ინსტრუმენტები, რომლებზეც გავლენას ახდენს კორპორატიული ქმდება, შესაძლოა ვერ ივაჭრებოდეს „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭობისას“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ყველა შესაბამისი დავალება და პოზიცია შეიძლება სათანადოდ დამუშავდეს.

<u>მარჯინ მოთხოვნები</u>

ფასების განახლებები, რომლებიც მიიღება იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისთვის“, გავლენას იქონიებს საწყის მარჯინზე, მაგრამ არ იმოქმედებს თქვენს ანგარიშ(ებ)ში არსებულ საგარანტიო მარჯინის შენარჩუნებაზე. თუმცა, „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ თქვენი მარჯინის გამოყენება შესაძლოა მაინც შეიცვალოს „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სესიის განმავლობაში სავაჭრო აქტივობის გამო, მათ შორის სხვა ინსტრუმენტებით ვაჭრობის ან ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად. თუ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“ თქვენი მარჯინ მოთხოვნა მიღწეულ ან დარღვეულ იქნება, „გალტ ენდ თაგარტმა“ „სტანდარტულ საათებში ვაჭრობამდე“ არ უნდა დახუროს ნებისმიერი და ყველა კონტრაქტი და მარჯინ პოზიცია ასეთი ინსტრუმენტებისთვის, თუმცა შესაძლოა დაუყოვნებლივ დახუროს ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი, რომელიც იმყოფება სტანდარტულ სავაჭრო სესიაში.

„გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობაში“ მონაწილეობის მიღებით, თქვენ ცალსახად ცნობთ და ეთანხმებით „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სესიების განმავლობაში ინვესტირების უნიკალურ რისკებსა და წესებს. „გალტ ენდ თაგარტის“ ბაზრებმა შესაძლოა წინასწარ ვერ განსაზღვროს და აღწეროს ყველა სპეციალური სავაჭრო რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობისას“. შესაბამისად, თქვენ ეთანხმებით, რომ არ დააკისრებთ პასუხისმგებლობას „გალტ ენდ თაგარტის“ ბაზრებს იმ რომელიმე რისკის გამო, რომელსაც თქვენ იღებთ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ სესიებში მონაწილეობით, იქნება ეს ზემოთ აღწერილი თუ არა.

„გალტ ენდ თაგარტის“ ბაზრების ზოგად ბიზნეს პირობებებსა და წინამდებარე რისკის შესახებ გაფრთხილებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ზოგად ბიზნეს პირობებს.

„გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობასთან“ დაკავშირებით, „გალტ ენდ თაგარტის“ ბაზრებმა შესაძლოა შეგატყობინოთ ან სავაჭრო პლატფორმაზე გაავრცელოს ინფორმაცია იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომელთა კოტირებასაც არ ვახდენთ, იმ მოცულობით შეზღუდვებზე, რომლისთვისაც მოვახდენთ კოტირებას, ან სხვა პირობებზე, რომელიც შესაძლოა ეხებოდეს კოტირებას, თუმცა ამგვარი შეტყობინება არ იქნება ჩვენთვის სავალდებულო.

თქვენ ცალსახად ცნობთ და ეთანხმებით, რომ მიუხედავად იმისა, ჩაერთვებით თუ არა „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობაში“, ფასთა განახლებები, რომლებიც მიიღება „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობის“ პერიოდში, გავლენას მოახდენს თქვენს ანგარიშ(ებ)ზე ხელმისაწვდომ საწყის მარჯინზე და ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს ან შეამციროს ნებისმიერ ინსტრუმენტზე ახალი პოზიცი(ებ)ის გახსნის ან თანხების გამოტანის შესაძლებლობა. გარდა ამისა, თქვენ გესმით, რომ „გახანგრძლივებულ საათებში ვაჭრობა“ შეიძლება არ იყოს შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის და რომ თქვენ ხართ სრულად პასუხისმგებელი ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების ან სავაჭრო სტრატეგიის მიღებასა თუ განხორციელებაზე.